# ქალაქ თბილისის
# მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 158

„22" მაისი 2015 წ

ქ. თბილისი

**ქ. თბილისში, პუშკინის ქ. №13-27/40-ის მიმდებარედ არსებული 80 კვმ. მიწის ნაკვეთის (ს/კ №01.18.03.018.051) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ლიდო ენტერტეინმენტისთვის" (ს/კ: 404491322) იჯარის ფორმით გადაცემაზე თანხმობის გაცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 122-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. თანხმობა მიეცეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2015 წლის 20 მაისის №20.10.578 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების, ქ.თბილისში, პუშკინის ქ.№13-27/40-ის მიმდებარედ არსებული 80 კვმ. მიწის ნაკვეთის (ს/კ №01.18.03.018.051) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ლიდო ენტერტეინმენტისთვის" (ს/კ 404491322) იჯარის ფორმით გადაცემაზე.

2. წლიური საიჯარო ქირის ოდენობა განისაზღვროს 12000 ლარით, როგორც აღნიშნული 80 კვმ. მიწის ნაკვეთის საწყის საპრივატიზებო საფასურად განხილული თანხის (192000 ლარის) არანაკლები 5%.

3. განკარგულება ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი